ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-64480/16
"18" 03 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, სამგორის ქუჩა, №9/ ქ. თბილისში, სამგორის ქუჩა ნაკვეთი 15/031-ში (საკ. კოდი №01.17.12.015.034) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობა-ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1989272 01.07.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, სამგორის ქუჩა, №9/ ქ. თბილისში, სამგორის ქუჩა ნაკვეთი 15/031-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-6" ფასადზე: ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების სიგანე. ვიტრაჟების ქვემოთ კედლის ნაწილი შესალესი და შესაფრქვევია ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

„6-1" ფასადზე: არ არის გამოყენებული ქვიშა-ცემენტის ხსნარით შეფრქვევა. ფრამუგებს მონაცვლებული აქვს ადგილი. გაუქმებულია წყალმიმღები მილები და დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები. სახურავის ქვეშ ფიქსირდება ლითონის დეტალები.

„ა-ბ" და „ბ-ა" ფასადებზე: არ არის გამოყენებული ქვიშა ცემენტის ხსნარით შეფრქვევა. სახურავის ქვეშ ფიქსირდება ლითონის დეტალები.

შენობაში კოლონებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი.

გაზრდილია შენობის სიგრძე.

საპროექტო შენობა №2

„2-1" ფასადზე: დამატებით ფიქსირდება ცოკოლი. არ არის გამოყენებული ქვიშა ცემენტის ხსნარით შეფრქვევა.

„ა-ბ" ფასადზე: არ არის გამოყენებული ქვიშა ცემენტის ხსნარით შეფრქვევა. შეცვლილია რელიეფის დონე. „ბ-ბ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კიბე და საჩრდილობელი.

„ბ-ა" ფასადზე: არ არის გამოყენებული ქვიშა ცემენტის ხსნარით შეფრქვევა. სახურავზე არ არის მოწყობილი პარაპეტი.

ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის კაპიტალური კედელი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „აისბერგი"-ს, კახაბერ გერგაიას, ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, სამგორის ქუჩა, №9/ ქ. თბილისში, სამგორის ქუჩა ნაკვეთი 15/031-ში (საკ. კოდი №01.17.12.015.034) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობა-ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №64480/12 24.02.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე